# შემთხვევის განხილვა-ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია

**ელენე სამადალაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატალია ჯამასპიშვილი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2025**

# სარჩევი


აბსტრაქტი..... 3

შესავალი..... 6

ლიტერატურის მიმოხილვა..... 10

ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის (ააკ) ტექნოლოგიები და სტრატეგიები.....12

*ააკ-ის ძირითადი თეორიული კონცეფციები და მნიშვნელობა*.....12

*ააკ-ის განვითარების ისტორია და მათი გამოყენების გამოცდილება ბავშვებში*.....15

*ააკ-ის ტიპები და ინსტრუმენტები: მულტიმოდალური მიდგომები*.....17

*ააკ-ის გავლენა ბავშვების კომუნიკაციურ და სოციალურ უნარებზე*.....19

*ააკ-ის როლი ოჯახურ კომუნიკაციაში: მშობლის და ბავშვის ურთიერთქმედება*.....21

*მშობლის ჩართულობის მნიშვნელობა ააკ-ს წარმატებულ გამოყენებაში*.....24

*ააკ-ის გამოყენების სირთულეები და გამოწვევები*……...26

*სხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილება და კვლევითი მიგნებები ააკ-ის ინტეგრაციის შესახებ*..... 29

კვლევის მეთოდოლოგია.....31

კვლევის შედეგები და ანალიზი.....38

დისკუსია.....40

მონაცემთა განხილვა/ანალიზი.....43

კვლევის ღირებულება და შეზღუდვები.....45

გამოყენებული ლიტერატურა..... 47

დანართები..... 50

# აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოადგენს ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის (ააკ) სისტემების ინტეგრაციის პროცესის ანალიზს და იმ გავლენის შეფასებას, რაც ააკ ტექნოლოგიებს შეუძლიათ მოახდინონ კომპლექსური კომუნიკაციური საჭიროებების მქონე ბავშვის კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებაზე.

კვლევაში ჩართული იყო ერთი 12 წლის ბავშვი, რომელსაც აქვს კომპლექსური კომუნიკაციური საჭიროებები, მას არ შეუძლია მეტყველებით კომუნიაკციის დამყარება გარშემომყოფებთან და ასევე აღენიშნება ქცევითი სირთულეები: ყვირილი, თვითდამაზიანებელი ქცევა, სხვების მიმართ ჩარტყმა, ფურთხება და ა.შ.

ნაშრომში გამოყენებულია შემთხვევის შესწავლის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა კონკრეტულ ბავშვზე დაკვირვება, შეფასება IPAC-პოტენციური საკომუნიკაციო აქტის ინვენტარით. შეფასების შემდეგ ბავშვის უნარების შესაბამისად შეირჩა და განხორციელდა ინტერვენცია ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით. ააკ სისტემებიდან გამოყენებული იყო დიდი მაკი.

ბავშვზე ორი თვის განმავლობაში განხორციელებული ინტენსიური ინტერვენციის შემდეგ გამოვლინდა, რომ ააკ ტექნოლოგიების ინტეგრაცია მნიშნელოვნად აუმჯობესებს მოთხოვნების და ემოციების გამოხატვის უნარებს. შედეგებში გამოიკვეთა მშობლის და ბავშვის დის ჩართულობაც, რაც კვლევის შედეგების მიღწევის ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორად ითვლებოდა. დედის და დის აქტიური ჩართულობა კვლევის პროცესში ხელს უწყობდა ბავშვის მოტივაციის შენარჩუნებას და ბავშვის უნარების გაუმჯობესებას.

ნაშრომის შედეგად გამოტანილი ძირითადი დასკვნა არის ის, რომ ააკ ტექნოლოგიების ინტეგრაცია არა მხოლოდ აუმჯობესებს ბავშვების კომუნიკაციის უნარებს, არამედ მნიშვნელოვნად ამაღლებს მათი სოციალური ჩართულობის ხარისხს. კვლევამ დაადასტურა, რომ ინტენსიური და რეგულარული ინტერვენციები, ინდივიდუალურად მორგებული მიდგომები და მშობლის აქტიური ჩართულობა ქმნის იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც ააკ სისტემების წარმატების საფუძველს წარმოადგენს.

**საკვანძო სიტყვები:** ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია, კომპლექსური კომუნიკაციური საჭიროებები, ინდივიდუალური მიდგომა, მშობლის ჩართულობა, დიდი მაკი.

## Abstract

The study examines the effectiveness of Alternative and Augmentative Communication (AAC) technologies for child with complex communication needs. The aim of the research is to analyze the process of integrating AAC systems and assess the impact these technologies can have on improving child's communication skills.

The study involved a 12-year-old child with complex communication needs, who is unable to establish verbal communication with those around him and exhibits behavioral difficulties such as yelling, self-harming behaviors, hitting others, spitting, etc.
A case study method was used, involving observation, assessment, and intervention with the use of AAC technologies. Big mack from AAC systems was used. After the assessment, an intervention using alternative and augmentive communication technologies was selected and implemented accordin to the child's abilities. After two months of intensive intervention, the results revealed that integrating AAC technologies significantly improved the child's ability to express demands and emotions. The involvement of the mother and sibling was also highlighted as a critical factor for achieving the research outcomes. Their active participation in the research process helped maintain the child's motivation and contributed to improvements in his skills.

The main conclusion of the paper is that integrating AAC technologies not only enhances children's communication abilities but also significantly increases their social engagement. The research confirmed that intensive and regular interventions, individualized approaches, and active parental involvement are key factors in the successful use of AAC systems.